პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერიღეთ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 168 (12680)

პარასკევი, 19 ივლისი, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.

ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 70 წლისთავი

ვლადიმერ მაიაკოვსკი

ჩვენი პარტია

ნაწყვეტი პოემიდან „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“

ჩვენი პარტია
ერთიანი
ურაგანია,
მტკიცედ შეკრული
თავის რიგებს
კვლავ რომ ამაგრებს;
ის ისე გლეჯს და
ანადგურებს
მტრის სიმაგრეებს,
როგორც ქვემეხთა
ურაგანი
ყურის ბარაბნებს.
ეული კაცი
ქვეყნად არის
ყველგამოჭრილი,
მარტოხელობა
ჯამაშიაც
შესაბრალია.
ყველა ძლიერი
მარტოხელას
დაიმორჩილებს,
სუსტებიც სძლევენ,
თუ სუსტები
ერთად არიან.

მაგრამ თუ მტკიცედ
შეკავშირდნენ
ერთეულები,
მოკვდი, მტაცებელო,
წყეულ იყოს
შენი გაჩენა!
პარტია არის
მტკიცე მკლავი
მილიონების,
მუშტად შეკრული,
დამლეწავი
მკლავი მარჯვენა,
მუშათა კლასის ხერხემალი
არის პარტია,
ის ჩვენი საქმის
ზეიმად სწამს
ასიათასებს.
არ მიღალატებს,
არც არასდროს
უღალატნია!
სამეფოების
ბედს განვაგებთ
ქვეყნის ჭარტაზე!
კლასის გონება,
კლასის საქმე
რაც გვინატრია,
კლასის დიდება
კლასის ძალა —
აი პარტია!
ტყუანი არიან
პარტია და
დიდი ლენინი,
ჩვენს ისტორიას
ორივ იგი
ერთგვარად შვენის:
ვიტყვით — ლენინი,
პარტია გვაქვს
წარმოდგენილი,
ვიტყვით — პარტია,
და ვგულისხმობთ
ვლადიმერ ლენინს!

თარგმანი ირაკლი აბაშიძისა.

ვლადიმერ მაიაკოვსკი — საბჭოთა პოეზიის სიამაყე

„თუ გსურს ძალა და სახელი მოუკოვო რევოლუციურ ხელოვნებას, განამტკიცე ოქტომბრის მონაპოვარი!“ — ასე წერდა რევოლუციის მეორე დღესვე ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომლის ამაყი პოეტური მელოდია თვით ამ რევოლუციის ქარ-ცეცხლში იშვა ახალ სამყაროსთან ერთად.

რევოლუციამ მაიაკოვსკის ლექსით, თავისუფლების დასაცავად პოეტმა ხიშტს რომ გაუტოლა, ქვეყნიერებას მიაწვდინა გაზაფხულის ჭექა-ქუხილივით ძლიერი და იმედიანი ძახილი:

არწივის თვალს რა ჩაკერობს?
დრომოჭმულს ვინღა ითმენს?
მსოფლიოს
ყელზე დააჭდობს
პროლეტარიატი თითებს.
წინ გასწიო! ცამდე ასული
დროშები არ დამარცხდება!
იქ ვიღაც ნაბიჯს რას ურეკს?
მარცხენა!
მარცხენა!
მარცხენა!

პოეტი რევოლუციის დროშის ქვეშ დადგა და არასოდეს არ უღალატნია ამ დროშისათვის. ჯერ კიდევ რევოლუციამდე, 1915 წელს დაწერილ „შარვლიან ლრუბელში“ შეადარა მან თავისი სული დროშას. ხოლო ოქტომბრის პირველივე დღეებში თქვა, კრემლზე აღმართული დროშა — „ცაში წითელ რაკეტად აჭრილი“ ჩემი სულის ნაწილიაო.

მაიაკოვსკი იყო პროლეტარული რევოლუციის არა მარტო დიდი მომღერალი, არამედ თვით ამ რევოლუციის ერთერთი საკვირველი მოვლენა, საზოგადოებასა და სახელმწიფოში ლიტერატურის პოზიციებისადმი სრულიად ახლებური მიდგომის თვალსაზრისით. ამ ახლებურ მიდგომაშია სწორედ მაიაკოვსკის მთელი სიდიადე, მთელი რევოლუციური მნიშვნელობა საკაცობრიო კულტურისათვის.

თუ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ყოველი დიდი პოეტი ოპოზიციაში უდგა გამბატონებულ კლასს, საზოგადოების ზედაფენას, სახელმწიფო ხელისუფლებას. ეს მრავალი საუკუნის მანძილზე აუცილებელი და გარდუვალი იყო იმიტომ, რომ ბეშმარიტი ნიჭი ყოველთვის ხალხის შინაგან ლტოლვას გამოხატავს, იცავს დაჩაგრულთა უფლებებს და მმართველ წრეებს უპირისპირებს ცხოვრების იმ „ძირს“, სადაც მძიმე შრომით დაქანცული ადამიანები ახალ, ბედნიერ სამყაროზე ოცნებობენ.

მაგრამ აი კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეიქმნა მშრომელთა სახელმწიფო, ძალაუფლება თავის დაკოერილ ხელში აიღო თვით დოვლათის შემქმნელმა ხალხმა. ძირფესვიანად გამოიცვალა საუკუნეებში შექმნილი წარმოდგენები პიროვნებასა და კოლექტივზე, სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე, ხალხსა და ძალაუფლებაზე. მეამბოხე პოეტი, რომელსაც სიკვდილივით სძულდა ჩაგვრაზე აშენებული ძველი ქვეყანა, ახალი სახალხო სახელმწიფოს დამცველი და საბრძოლო რევოლუციური წესწყობილების მომღერალი გახდა. მაიაკოვსკიმ უმღერა პროლეტარიატის რკინის დიქტატურას, რადგან ეს თვით პოეტის დიქტატურაც იყო, ის ჯარისკაცივით ჩადგა სოციალისტური სამშობლოს დამცველთა მწყობრში.

— მე არაფრად არ მიმაჩნია, რომ პოეტი ვარ, — ამბობდა იგი, — მე პოეტი კი არა, ისა ვარ, ვინც ჩვენი დღევანდელი დროის, ჩვენი სინამდვილისა და ახ სინამდვილის წინამძღვრის — საბჭოთა მთავრობისა და პარტიის სამსახურში ჩააყენა კალამი.

სწორედ ამგვარმა პოზიციამ წარმოშვა ახალი პოეტური ფორმაც. მაიაკოვსკიმ იცოდა, რომ პოეზია იარაღი იყო რევოლუციისა. თავისი შრომით მან განამტკიცა ახალი რევოლუციური ესთეტიკის კანონები. პოეტის აზრით მხოლოდ ის პოეზიაა მშვენიერი, როშელიც ემსახურება რევოლუციას, ხალხს.

ვლადიმერ მაიაკოვსკის სამწერლო მოღვაწეობის ისტორიული მხატვრული მნიშვნელობა განსაკუთრებით ნათლად ჩანს, თუ ამ შემოქმედებას ჩვენი დროის დაძაბული შემოქმედებითი ძიების თვალსაზრისით შევხედავთ. მაიაკოვსკისათვის არ არსებობდა „თანამედროვეობის საყოველთაო ადამიანი“, „XX საუკუნის სული“, „თანამედროვე სტილი“, რასაც ჯერ კიდევ მაშინ ბოროტად იყენებდნენ ფორმალისტები. პოეტს ნამდვილი საუკუნე წარმოდგენილი ჰქონდა მთელი თავისი ისტორიული წინააღმდეგობებით, ჭარიშხლითა და გარდაქმნებით. მან ყოველთვის კარგად იცოდა, სად იყო საზღვარი სოციალისტურსა და ბურჟუაზიულს შორის. არის თუ არა ნაწარმოები კლასის, რევოლუციის იარაღი? აი ამ თვალსაზრისით აფასებდა იგი ხელოვნების ყოველ მოვლენას, ამ მოვლენათა როლსა და მნიშვნელობას თანამედროვეობისათვის.

ამ მხრივ სოციალისტური რეალიზმის დიდ ფუძემდებელთან მაქსიმ გორკისთან ერთად ვლადიმერ მაიაკოვსკი ის კეთილი მასწავლებელია, რომლისგანაც მუდამ უნდა ვსწავლობდეთ არა მარტო ახალი ცხოვრების სადიდებლად შექმნილ სიმღერას, არამედ ამ ცხოვრებისათვის ბრძოლასაც.

პოეტი ყოველთვის ხალხის, ცხოვრების მხარდამხარ მიდიოდა. თავისი პოეზიით უკვდავი ლიტერატურული ძეგლი აუგო რევოლუციას, ამ რევოლუციის ხელმძღვანელს, ვლადიმერ ლენინს:

ტყუანი არიან
პარტია და
დიდი ლენინი,
ჩვენს ისტორიას
ორივ იგი
ერთგვარად შვენის.

რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის ეს სტრიქონები ყოველ საბჭოთა ადამიანს გულში აქვს ალბეჭდილი. იმიტომ, რომ ისინი ნათლად და მკაფიოდ გამოხატავენ ხალხის აზრებსა და გრძნობებს. აი ამაშია სწორედ ამ სტრიქონების ძალა და მნიშვნელობა.

მაგრამ პოეტი არა მარტო ლექსით, არამედ მთელი თავისი ყოველდღიური საგზეთო და საყურნალო მოღვაწეობით ედგა მხარში რევოლუციას, პარტიას, ხალხს.

სამოქალაქო ომის მძიმე წლებში, როცა უქმად იდგნენ სტამბები, არ იყო ქაღალდი, მაიაკოვსკიმ ხელში აიღო ფუხჯი და როგორც მხატვარმა-პლაკატისტმა, პოეტმა-აგიტატორმა დახატა სამი ათასზე მეტი პლაკატი და ამ პლაკატებისათვის ათი ათასამდე სტრიქონი დაწერა. პოეტი ადიდებდა ყოველივე ახალსა და ნათელს, რაც სანუკვარ მომავალს ააშლიოდა, თანაც თავისი მრისხანე ლექსით თავზარსა სცემდა რევოლუციის მტრებს, ყველასა და ყველაფერს, რაც ხელს უშლიდა ხალხის წინსვლას. პოეზიაში მან პირველმა შენიშნა ახალი ურთიერთდამოკიდებულება მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის, მუშასა და შრომას შორის, დღევანდელსა და ხვალინდელს შორის, სატრფოსადმი სიყვარულსა და სამშობლოსადმი სიყვარულს შორის.

ყველაფერმა ამან უდიდესი ლირიკული ძალა მიანიჭა მაიაკოვსკის პოეზიას, რომელიც ჩვენი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად იქცა.

პოეტი ოცდაცამეტი წლის წინათ გარდაიცვალა. მაგრამ იგი ყოველთვის თავის ხალხთან, თავის ქვეყანასთან, თავის პარტიასთან, ლენინის დიდ პარტიასთან ერთად იყო თავისი უზარმაზარი შემოქმედებით.

ადამიანის ბეშმარიტი თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის იდეურ ბარიკადებზე მაიაკოვსკი მუდამ მრისხანედ და მამაცურად იბრძოდა, იბრძვის და იბრძოლებს, ამიტომ იყო, რომ იგი არაერთხელ ახსენეს, „როგორც ცოცხალი და არა მუმია“, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელ ე ბ ი ს შეხვედრებზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან. მაიაკოვსკისაგან ყოველი საბჭ ო თ ა პოეტი, ყოველი საბჭოთა ხელოვანი უნდა სწავლობდეს მაღალ პრინციპულობას, ხალხურობას, პარტიულობას, მოქალაქეობრიობას.

დღეს, როცა ჩვენმა პარტიამ ერთხელ კიდევ მოუწოდა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს მაღალი იდეურობისა და მაღალი ოსტატობისაკენ, დღეს, როცა სოციალისტური რეალიზმის მწერლობა ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევს ჩვენშიც და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშიც, ამაყად გაისმის მაიაკოვსკის ხმა:

სიმღერაცა
და ლექსიც —
ყუმბარაა და დროშა!

დღეს მაიაკოვსკის დაბადების სამოცდამეათე წლისთავს რომ აღვნიშნავთ, ეს მთელი ჩვენი სოციალისტური კულტურის ზეიმიც არის, ეს ზეიმია მთელი საბჭოთა პოეზიისა, კომუნიზმის მშენებელი ხალხის პოეზიისა, რომლის პირველი ბეშმარიტად დიდი წარმომადგენელიცა და კლასიკოსიც თვით ვლადიმერ მაიაკოვსკია.

ჩვენი ხალხი, და არა მარტო ჩვენი ხალხი, არამედ მთელი პროგრესული კაცობრობა წმიდად ინახავს მაიაკოვსკის მდიდარ რევოლუციურ მემკვიდრეობას, როგორც მუდამ ბასრსა და დაუუანგავ იარაღს ქვეყნად სიკეთისათვის ბრძოლაში.

ბრიგადა

ბიბლიოთეკა

პლანტაციებში

18 ივლისი

მახარაძის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დღითიდღე მატულობს ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. მეჩაიეები იმისათვის იბრძვიან, რომ სასახელოდ შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება. საწარმოო სამმართველოში გუშინ მოიკრიფა 350 ტონამდე ჩაის ნედლეული, სულ მოკრეფილია 25.850 ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მახარაძელ მეჩაიეებს წლიური გეგმა შესრულებული აქვთ 68 პროცენტზე მეტით. ივლისში სულ მოკრეფილია 4.700 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“.

დაწინაურდნენ

წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს მეჩაიეები, — განაცხადა სამმართველოს უფროსმა ამხ. მ. ღოლოგანიძემ, — ენერგიულად შრომობენ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის. ახლა ხელსაყრელი ამინდებია ჩაის ფოთლის კრეფისათვის. ყოველდღიური კრეფა 70 ტონიდან 100-110 ტონამდე გაიზარდა.

18 ივლისის ჩათვლით სულ მოკრეფილია 5.118 ტონა „მწვანე ოქრო“. წლიური გეგმა შესრულებულია 82 პროცენტით. ივლისში გეგმით უნდა მოკრეფოთ 1.885 ტონა. მოკრეფილია 1.286 ტონა. ივლისის დავალება 20 ივლისისათვის შესრულდა. წყალტუბოელმა მეჩაიეებმა გადაწყვიტეს ჩაის კრეფის წლიური დავალება 1 აგვისტოსათვის შეასრულონ.

სწრაფვად და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გამსვლელი ბიუროს სხდომა ხაშურში

ხ ა შ ურ ი. (საკ. კორ). აქ გაიმართა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გამსვლელი ბიუროს სხდომა გორისა და ხაშურის საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის მიმდინარეობის თაობაზე.

ამ საკითხზე ბიურომ მოისმინა გორისა და ხაშურის საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტების მდივნების რ. ბზიშვილისა და ზ. აბაზაძის ინფორმაციები.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: რუსის მეჩარხლეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ი. გოგალაძემ, კოლმეურნეობა „ზემო ქარლის“ თავმჯდომარემ ვ. კუჭაძემ, ქვიშხეთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ს. გელაშვილმა, გაერთიანება „სოფლტექნიკის“ გორისა და ხაშურის განყოფილებების უფროსებმა გ. მახარაშვილმა, გ. ძაგნიძემ, ხაშურის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ბ. მაისაშვილმა, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილემ გ. ვაშაძემ, პატრიოტექტების მთავარი სამმართველოს უფროსმა მ. ნარსიამ, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ შ. გრძელიშვილმა და სხვებმა.

ბიუროს მუშაობა შეაჯამა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ ბ. გიგიბერიამ.

განხილული საკითხის გამო ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

ტემპი, მომკელებო!

ჯელ უჩვეულო კლიმატური პირობებია. ხშირი წვიმების გამო შეუძლებელი ხდება საშემოდგომო და საგაზაფხულო ყველა მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების (გარდა სიმინდისა) მოსავლის დროულად აღება და დაბინავება. ყველაზე მეტი მოსავალი წელს ასაღები აქვთ სიღნაღის საწარმოო სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. აქ მოსამკელია 49.848 ჰექტარი. მიუხედავად ცუდი ამინდისა, შარშანდელთან შედარებით მოსავალი უკეთესია. გაღებული 17.091 ჰექტარი ფარობიდან თვითეულ ჰექტარზე მოღებულია 16,7 ცენტნერი მარცვალი.

ახლა პურეულის მოსავლის აღების გადამწყვეტი დღეებია. მოსავლის აღების სამუშაოები სიღნაღის რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში ორგანიზებულად დაიწყო მაგალითად. ჯაფარიძის, ზემო ქედის, საბათლოს და სხვა კოლმეურნეობებში მარტო კომბაინის მოლოდინში როდი არიან. სადაც მანქანა ვერ მუშაობს, პურეულს ხელით იღებენ. მაგრამ ყველგან ასე როდია. ჯუგაანის, ქვემო მახხაანის, საკობოს ექცხოველია სახელობის, წნორის რუსთაველის სახელობის, ტიბაანისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში პურეულის ასაღებად ხელის შრომას ნაკლებად იყენებენ. ამიტომ ტემპი დაბალია. მაგალითად, სოფელ ჯუგაანის კოლმეურნეობაში ალაზნის პირზე მიწა ტალახიანია, ამის გამო მანქანებს ვერ იყენებენ, ხოლო ხელით მოსავალს ძალიან ცოტას იღებენ. აქ ერთ დღეს პურეულის მოსავლის აღებაზე მხოლოდ 60 კაცი მუშაობდა, ხოლო ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში სულ მიატოვეს მუშაობა და კარგ ამინდს ელოდებიან. ეს დანაშაულია. ასეთი მუშაობის შედეგად სიღნაღის საწარმოო სამმართველოში ივლისის მესამე ხუთდღიურისათვის აუღებელი იყო 32 ათას ჰექტარზე მეტი მოსავალი.

მოსავლის აღების ტემპი უნდა გააძლიერონ ყვარლის საწარმოო სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. აქ აღნიშნული სამუშაო შესრულებულია მხოლოდ 39,7 პროცენტით. ასევე ითქმის გურჯაანის, თელავის, ბოლნისის, და სხვა საწარმოო სამმართველოთა შესახებ. სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში 276.670 ჰექტარიდან მოსავალი აღებულია მხოლოდ 53.075 ჰექტარზე, ანუ გეგმის 19,2 პროცენტი.

მოსავლის აღებასთან ერთად საჭიროა დროზე გაღელწოთ და მაღალხარისხოვანი მარცვალი მივიღოთ სახელმწიფოს. ამ მხრივ მეტი უნდა იმუშაონ ყვარლის, გურჯაანის, ბოლნისის, ხაშურის და სხვა საწარმოო სამმართველოებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, სადაც აღებული მოსავლის გაღელწვის გეგმა შესრულებულია 94-98 პროცენტით.

ახლა ყანები თითქმის ყველგან შემოსულია. საჭიროა იქ, სადაც კომბაინი ვერ იმუშავებს, ხელით ავიღოთ მოსავალი, მთელი დატვირთვით ვიმუშაოთ. მოსავლის აღების პეროდში თვითეული დღე, თვითეული საათიც კი მნიშვნელოვანია. ორგანიზებულად მოვაწყოთ მოსავლის აღება, გალეწვა, მარცვლის გაშრობა და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. არ დაგვავიწყდეს, რომ თუ მოსავალს დროზე ავიღებთ — მოვიგებთ, დავაგვიანებთ — წავაგებთ!

ირაკლი აბაშიძე

ბ. ბ.

ბ. ბ.

ბ. ბ.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის კლენუმზე

იდეურად გამოვაფრთოთ მომავლის მშენებელი

ორჯონიკიძის რაიონი რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთი მსხვილი და ყველაზე სწრაფად მზარდი რაიონია. აქ არის უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ფართო ქსელი. უკანასკნელ ხანს სამრეწველო, სატრანსპორტო და სამშენებლო დაწესებულებათა მწყობრში ჩადგა ახალი და ახალი ობიექტები, მშენებლობათა ხარაჩოებშია ქუჩები, მთელი მასივები.

იზრდება, მშვენდება რაიონი და მის ზრდასთან ერთად იზრდებიან ადამიანები, რომლებიც თანდათანობით ეჩვევიან კომუნისტურად შრომასა და ცხოვრებას.

კომუნისტური მშენებლობის საკითხები, განსაკუთრებით ის, რომ რაიონის უმაღლესი და სპეციალური საშუალო სასწავლებლები ათასობით კვალიფიციურ კადრებს უმზადებენ ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობისა და კულტურის მთელ რიგ დარგებს, რაიონის პარტიული ორგანიზაციის წინაშე უფრო მეტი პასუხისმგებლობით აყენებს ამოცანას — ყოველმხრივ გააუმჯობესოს იდეოლოგიური მუშაობა, ახალ, უფრო მაღალ დონეზე აიყვანოს მთელი აღმზრდელობითი მოღვაწეობა.

სწორედ ამის შესახებ იყო დიდი საუბარი ზოოვეტერინარული ინსტიტუტის საკუთრ დარბაზში, სადაც გაიმართა საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები და ჩარონული პარტიული ორგანიზაციის ამოცანები იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში“.

მომხსენებელმა, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა **კ. ბაბალეიშვილმა** და კამათის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ სკკპ ცენტრალური. კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება თვით ცხოვრებით არის ნაკარნახევი, რომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან ერთად უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა ვეწეოდეთ მასების შეგნებულობის ამაღლებისათვის ბრძოლას, კომუნიზმის მშენებლებად აღზრდას.

როგორ ვმუშაობთ ამ მხრივ, რას გავაკეთებთ მომავალში? — აი კითხვები, რომლებსაც პასუხი გაეცა პლენუმზე.

აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებმა პოლიტიკური და აღმზრდელობითი მოღვაწეობის დარგში მეტად მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. უფრო სრულყოფილი გახდა იდეოლოგიური მუშაობის ფორმები და მეთოდები. რაიონში ამჟამად ითვლება სხვადასხვა ტიპის 425 პოლიტწრფა და პოლიტსკოლა, ორი მშობელთა უნივერსიტეტი და სახალხო უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ხელოვნების ფაკულტეტი, 140 აგიტკოლექტივში გაერთიანებულია ორი ათასზე მეტი აგიტატორი და სხვ.

ნაყოფიერად მუშაობს პარტიის რაიონმშვიდოდთ? — აღინიშნა პლენუმზე. მოხსენებასა და კამათის მონაწილეთა გამოსვლებში მოყვანილი იყო დამაფიქრებელი ფაქტები, რომლებსაც ადგილი აქვს ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში.

მთავარი ნაკლი, რაც პლენუმზე აღინიშნა, ეს არის პარტიული პროპაგანდის არასაკმაო კავშირი ცხოვრებასთან. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ის არის, რომ ზოგან ჯერ კიდევ დაბალია პროპაგანდისტთა მომზადების დონე, მათი დახელოვნებისათვის არ წარმოებს საკმარისი მუშაობა. ზოგან თვით კომუნისტები მთელი სერიოზულობით არ ეკიდებიან იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებას. ამ მხრივ ბევრი ნაკლი იყო მუშა ახალგაზრდობის № 5 სკოლაში, მთავართბილმშენის № 2 სამშენებლო სამმართველოში, № 19 ავტოსატრანსპორტო კანტორაში, პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში და სხვ.

იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ რაიონში ჯერ კიდევ აქვს ადგილი შრომის დისციპლინის დარღვევებს, ლოთობის, ხულიგნობის, სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევებს. კაპიტალიზმის გადმონაშთებთან ბრძოლა სუსტად ეწევიან მთელი რიგი კოლექტივები. სტუდენტთა ერთ ნაწილში ადგილი აქვს ამორალური ქცევის გამოვლინებებს.

უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორმა **ვ. ქოჩორაძემ**, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგემ **ს. სამონგულოვმა**, კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა **ნ. ქავთარაძემ** და სხვებმა ილაპარაკეს იმ ნაკლოვანებებზე, რასაც ადგილი აქვს ახალგაზრდობის, განსაკუთრებით სტუდენტ ახალგაზრდობის, აღზრდის საქმეში.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებები, — განაცხადეს მათ, — მნიშვნელოვნად დაგვეხმარება ყოველმხრივ გავეუმჯობესოთ ახალი, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის, აღზრდა.

შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პროფესორი **მ. დუდუჩავა** თავის გამოსვლაში შეეხო ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებას. მან აღინიშნა, რომ ზოგიერთი პოეტი, მწერალი, მხატვარი გატაცებულია ახლის ძიებით, და ამ ახლის ძრების საფარით ღალატობს სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს. ორატორმა პლენუმის ყურადღება მიაქცია ეგრეთვე იმ ფაქტს, რომ ბევრ ინსტიტუტში ნაკლები ყურადღება ექცევა კადრების შერჩევას.

კამათში გამოვიდნენ ეგრეთვე მთავართბილისმშენის მე-9 სამშენებლო სამმართველოს უფროსი **შ. შალიკაშვილი**, ინსტრუმენტალური ქარხნის დირექტორი **ა. ვაშაკიძე**, ბერეშუმსაქსოვი ფაბრიკის სარემონტო-მექანიკური განყოფილების უფროსი **რ. საველიევი**, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორი **კ. ლოლაძე**.

იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შემუშავებულია კონკრეტული ღონისძიება.

რაიონული კომიტეტის პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პოლიტიკური მოღვაწეობა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ძალთა შემდგომი შეკავშირებისათვის და კონკრეტული ღონისძიებები, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განახორციელა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ურთიერთობაში.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **დ. სტურუა**.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ო. გოცირიძემ** და საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **რ. ფრუთიძემ**.

თ. ჯაჯელი.

კომუნისტური იდეალებით აღვზარდოთ მშრომელები

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მეზუთე პლენუმი გაიმართა 17 ივლისს. თბილისში. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, საინსტიტუციოებისა და უწყებების, საოლქო პროფკავშირების, დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების ხელმძღვანელებმა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებმა, კულტურის, განათლების მუშაკებმა.

მოხსენება — „რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებთან“ გააკეთა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **მ. მ. ლელაშვილმა**.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი, — თქვა მომხსენებელმა, — როგორც ადიდებულმა განხილა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები, უდიდესი მოვლენა იყო ჩვენი პარტიის იდეოლოგიურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კომუნისტური მშენებლობის ისტორიაში განსაკუთრებით მკაფიო ფურცელი იყო უკანასკნელი ათწლეული. პარტიამ ამხელა სტალინის პიროვნების კულტი, ბოლო მოუღო პარტიული, სახელმწიფებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინურ ნორმათა დარღვევებს, სუბიექტივიზმსა და დოგმატიზმს, რითაც ფართო პერსპექტივა გადაუშალა ხალხის მასების ინიციატივასა და აქტივობას. კომუნისტურმა პარტიამ შემოქმედებითად დაამუშავა მარქსისტულ-ლენინური თეორიის უნიშვნელოვანესი საკითხები.

ამხ. ლელაშვილმა ილაპარაკა, თუ რა მიღწევები მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა. საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახში შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა. 10 წლის მანძილზე მრეწველობის მთლიანი პროდუქციის გამოშვება რესპუბლიკაში 2,1-ჯერ გაიზარდა.

პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი უდიდეს ყურადღებას უთმობენ იდეოლოგიურ მუშაობას. XX, XXI და XXII ყრილობებზე, პარტიის ახალ პროგრამაში, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებში იდეოლოგიურ საკითხებზე გაშუქებულია მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი კონკრეტული სახელმძღვანელოა საბჭოთა პროფკავშირებისათვის, რომელიც მშრომელთა ყველაზე მასობრივი ორგანიზაცია, კომუნიზმის ლენინური სკოლაა.

პროფკავშირთა იდეოლოგიური მუშაობის საფუძველია საბჭოთა ადამიანებში აღზარდოს შრომისადმი პატივისცემა საზოგადოების საკეთილდღეოდ და შრომითი წრთობა.

მუშებისა და მოსამსახურეების შრომითი აღზრდის ნაკადი მეთოდი გახდა ჩვენში სოციალისტური შეჯიბრება. სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობს საქართველოს ასი ათასობით მშრომელი. სოციალისტური ეკონომიკის განუწყვეტელი პროგრესის, ზრდის, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების მძლავრი სტიმულია მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის. რესპუბლიკაში ამ მოძრაობაში მონაწილეობს 200 ათასზე მეტი კაცი — თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე 1960 წელს. კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდებისათვის იბრძვის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 270 საწარმო. 16 ათასზე მეტ წარმოების მოწინავეს, ნოვატორს 'მიენიჭა კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდება. კომუნისტური შრომის კოლექტივის მაღალი წოდება პირველი მიეკუთვნა თბილისის ჩაის საწონ ფაბრიკის კოლექტივს, ეგრეთვე 3.200 ბრიგადასა და 292 საამქროს.

კომუნისტური შრომის მოძრაობამ საბჭოთა ადამიანების შრომითი აქტივობის ახალი სხვადასხვაგვარი ფორმები წარმოშვა. საქართველოს გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა შვიდწლედის ოთხი წლის განმავლობაში წარმოებაში დანერგეს 54 რაციონალიზატორული წინადადება, 50 მილიონ მანეთისაზე მეტი ეკონომია მისცეს საამშობლოს.

პროფკავშირული ორგანიზაციები დიდ აღმზრდელობითსა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევიან, სერიოზულ ყურადღებას უთმობენ მშრომელთა ტექნიკური დონის ამაღლებას, ეხმარებიან სახალხო განათლების ორგანოებს სკოლისა და ცხოვრების კავშირის განმტკიცებაში, ბავშვებისა და ახალგაზრდობის აღზრდაში, აწყობენ სალექციო პროპაგანდას, ქმნიან კულტურისა და ტექნიკის სახალხო უნივერსიტეტებს, სახალხო თეატრებს, ავითარებენ მხატვრულ თვითმოქმედებას, კინომოყვარულობას, ფიზიკურ კულტურასა და სპორტს, მასობრივ ტურიზმს.

მომხსენებელი შეჩერდა პროფკავშირული ორგანიზაციების კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებებზე.

კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი ჯერ კიდევ მთლიანად არ შეესაბამება კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ამოცანებს, მშრომელთა გაზრდილ იდეურ და სულიერ მოთხოვნებს. საკმარისად აქტიურად არ ებრძვიან წარსულის გადმონაშთებს. კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპები ჯერ კიდევ ყველგან როდი გახდა ყოველი საბჭოთა ადამიანის ყოფაქცევის ნორმა.

მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა.

საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **ე. გოგიაშვილმა** თქვა, რომ თეატრებისა და კინოს უმთავრესი ამოცანაა შრომელთა პოლიტიკური და ესთეტიკური აღზრდა. საქართველოს თეატრებმა უკანასკნელ ხანებში 140-ზე მეტი ახალი სპექტაკლი დადგეს, ბევრი მათგანი გულთბილად მიიღო მაყურებელმა. მაგრამ რეპერტუარში ჯერ კიდევ გვხვდება პიესები, რომლებიც შინაარსობრივად სუსტია, არ შეესაბამება საბჭოთა ადამიანების მაღალ მოთხოვნებს.

კულტურის მოღვაწენი ემეფიოს დახმარებას უწევენ კულტურის სახალხო უნივერსიტეტებს, სახალხო თეატრებსა და მხატვრული თვითმოქმედების წრეებს.

ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებზე, შრომაში მათ ჩაბმაზე ილაპარაკა თბილისის კომკავშ-მაფის კომბინატის დირექტორმა **ე. თავაძემ**. მან გააკრიტიკა მხატვრული თვითმოქმედების ზოგიერთი ხელმძღვანელი, რომლებიც ჯაზური მუსიკით არიან გატაცებული და არ ზრუნავენ კლასიკური მუსიკის პროპაგანდისათვის, საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებთა პროპაგანდისათვის.

ახალი ადამიანის აღზრდაში, — თქვა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა **თ. ლაშქარაშვილმა**, — დიდ როლს ასრულებს სკოლა. მისი უფრო მჭიდრო დაკავშირება ცხოვრებასთან შესაძლებლობას გვაძლევს მოვამზადოთ ყოველმხრივ განათლებული ადამიანები.

აკადემიკოსთა საქართველოს სოლოქონ საბჭოს თავმჯდომარემ **მ. ეკიზაშვილმა** ილაპარაკა აღმზრდელობითსა და კულტურულ-მასობრივ მუშაობაზე, რომელსაც აწარმოებს პროფკავშირული ორგანიზაციები ეწევიან.

ფიზკულტურელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების საკითხებზე ილაპარაკა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ **ი. ბოჭორიძემ**.

თბილისის ლენინის სახელობის ელექტროსაშენებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა **ვ. პაპინაშვილმა** დამსწრეთ გაუზიარა წარმატებები, რომლებიც ამ საწარმოს აქვს კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრებაში.

იმ საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც ზეგეგმითი მოგებისათვის იბრძვიან, — თქვა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მინისტრმა **ბ. ბერიკაშვილმა**, — ეხმარებიან ... პირობებს საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების დამატებითი ზეგეგმითი მშენებლობისათვის. 1960-1962 წლებში სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა ფონდის ხარჯზე ამენდა 1.726 ბინა, ათობით სბავშვო ბაღი, კლუბი და სასადილო. საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს გაზრახული აქვს 1964-1965 წლებში ააშენოს 15 სბავშვო დაწესებულება, 4 პიონერული ბანაკი, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დაწესებულება.

— იდეოლოგიურ მუშაობაში, — თქვა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის თეატრალური განყოფილების გამგემ **ა. დევიძემ**, — თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის სახალხო თეატრებს, მხატვრულ თვითმოქმედებას. ამას წინათ დამთავრებულმა პროფკავშირთა თვითმოქმედი, საკავშირო-მხატვრული, თეატრალური, საგუნდო და მოცეკვავეთა კოლექტივების რესპუბლიკურმა დათვალიერებამ ცხადყო ხელოვნების მოყვარულთა გაზრდილი ოსტატობა.

აფხაზეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს მდივანმა **ს. კეცბამ** მოიყვანა ფაქტები, მაგალითები, რომლებიც ახასიათებენ აფხაზეთის მშრომელთა წარმატებებს. ავტონომიური რესპუბლიკის 49 საწარმო იბრძვის კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდებისათვის, 14 ათასი მუშა — კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდებისათვის.

სამხრეთ-ოსეთის პროფკავშირულ ორგანიზაციები, — თქვა პროფკავშირთა საოლქო კომიტეტის თავმჯდომარემ **ს. ჯიოევმა**, — უფრო მიზანდასახულად შეუდგნენ მშრომელთა აღზრდას შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, კომუნისტური მორალის სულისკვეთებით.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელშიც ერთსულოვნად და საგანგებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი. პლენუმის მონაწილეებმა მხურვალედ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის საქმიანობა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ძალების შემდგომი განმტკიცების დარგში, ეგრეთვე ყველა კონკრეტული ღონისძიება, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ურთიერთობაში.

პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომ საქართველოს პროფკავშირთა XII ყრილობა მოწვეულ იქნეს 1963 წლის 7-8 ოქტომბერს.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს პროფსაბჭოს სოფლის მეურნეობის პროფორგანიზაციათა ხელმძღვანელობის ბიუროს წევრად დამტკიცებულია საქართველოს კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ბასაშვილი**.

საქართველოს პროფსაბჭოს საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილების გამგე **გ. შენგელია** დამტკიცებულია საქართველოს პროფსაბჭოს მრეწველობისა და მშენებლობის პროფორგანიზაციათა ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილედ. ამ ბიუროს წევრად დამტკიცებულია საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **დ. ცირეკიძე**.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვ. მ. სირაძემ**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგემ **ი. გ. რთველიაშვილმა**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. ა. კვაჭაძემ**, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საქართველოს სსრ მინისტრმა **დ. გ. მამაცაშვილმა**.

(საქდესი).

სკკპ მაღლა აფარებს ლენინიზმის დროშას

უცხოეთის გამოჩხაურებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილზე

საზღვარგარეთ დიდი ინტერესით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილს საბჭოთა კავშირის პარტიული ორგანიზაციებისადმი, ყველა კომუნისტისადმი. საზღვარგარეთის პრესა აშუქებს ამ ისტორიულ დოკუმენტს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას მხურვალედ იწონებს პროგრესული საზოგადოებრიობა.

სოფია. „ერთობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით“, „მარქსიზმ-ლენინიზმი კაცობრიობის ჩირაღდანია მომავლის გზაზე“, „ლენინური სიმართლით მშვიდობისათვის, დიადი იდეალების გამარჯვებისათვის“, „სწორი ლენინური გზით“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიადი ლენინური იდეების მედროშეა“ — ასეთი სათაურებით დაბეჭდეს ბულგარეთის გაზეთებმა მოწონავე სტატიები, რომლებშიც კომეტარს უკეთებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილს.

ჩვენი ქვეყნის მშრომელი ადამიანები, მჭიდროდ შეკავშირებულნი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გარშემო მისი ცენტრალური კომიტეტის მეთაუროობით, აღნიშნავს გაზეთი, კვლავ მხურვალედ უჭერენ მხარს დიდი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, გამოხატავენ თავიანთ ურყევ მეგობრობას საბჭოთა ხალხთან და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან, თავიანთ მგზნებარე სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს. ისინი მხარს უჭერენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილს იმიტომ, რომ იგი აღსავსეა ჩვენი კომუნისტური სიმართლით, იმიტომ, რომ იგი გვიჩვენებს სწორ გზას.

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის საწარმოებში იმართება კრებები და საუბრები, მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილისადმი, ისინი მოწმობენ, რომ დიადი საერთო მიზნებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ჩეხოსლოვაკიელი კომუნისტები, მთელი ჩეხოსლოვაკიელი ხალხი, ისევე როგორც წინათ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის მხარდამხარ დგანან, ყველა მარქსისტულ-ლენინურ პარტიასთან ერთად ერთან.

კაცობრიობის მომავალი, აცხადებენ პრაღის საწარმოს „ტატროვკის“ მუშები, არ შეიძლება თერმოატომური ომით გადაიჭრას.

„უბრალესი ამოცანაა განვამტკიცოთ ჩვენი მოძრაობის ერთობა“, „ვიწონებთ საბჭოთა კომუნისტების პოზიციას“, „ერთსულოვანი აზრი“ — ასეთი სათაურებით ბეჭდავენ „რუდე პრავო“, „პრაცე“, „სვობოდნე სლოვო“ და ჩეხოსლოვაკიის სხვა გაზეთები რესპუბლიკის მშრომელთა გამოსათქვამებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილის შესახებ.

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა წერს, რომ საბჭოთა ადამიანები ფართოდ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილს. სათაურით „ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს ლენინის პარტიას“ „ბერლინერ ციტუნგი“ ბეჭდავს მასალებს იმ ფართო მოწონების შესახებ, რომლითაც შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილს თელ მსოფლიოში. როგორც ხაზს უსვამს გაზეთი, ამ დოკუმენტს, რომელშიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თვალსაზრისი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უაღრესად დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, ერთსულოვნად იწონებს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი.

ჟენევა. „დავიცვათ მშვიდობა იმას ნიშნავს, რომ ვიბრძოლოთ კომუნისტური იდეალების განხორციელებისათვის“— ასეთი სათაურით დაბეჭდა შვეიცარიის შრომის პარტიის ორგანომ „ვუა უვრიერმა“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილის შინაარსი. „ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, — სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ძირითად საკითხებში. „ვუა უვრიერი“ გამოპყოფს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილის იმ ადგილებს, სადაც ნათქვამია, რომ ჩინელი ხელმძღვანელები აშკარად ვერ აფასებენ ჯეროვნად თერმოატომური ომის საფრთხეს და იმ საზარელ შედეგებს, რომლებსაც ასეთი ომი მოუტანდა მთელ კაცობრიობას.

სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა ბრძოლა

პანოი, 17 ივლისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის საგენტო „განთავისუფლება“ იუწყება, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სახალხო პატრიოტულმა ძალებმა სამხრეთ ვიეტნამის აღმოსავლეთ ნაწილის 10 პროვინციაში ცეცხლი დაუშინეს ამერიკა-ნგო-დინ-დიემის 37 თვითმფრინავს და ჩამოაგდეს 13 თვითმფრინავი.

ამავე პერიოდში სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა სამხრეთ ვიეტნამის ცენტრალური ნაწილის სამ პროვინციაში გაანადგურეს მოწინააღმდეგის 1880 ჯარისკაცი.

ამას გარდა, პატრიოტებმა ამ პროვინციებში ჩამოაგდეს სამი ვერტმფრინავი და დააზიანეს სამი ვერტმფრინავი. მათ ეგრეთვე დააზიანეს 28 სამხედრო სატვირთო მანქანა, ააფეთქეს მატარებელი, ხელთ იგდეს დიდძალი სხვადასხვა იარაღი.

ტელეგრაფი გვაცნობებს

□ 15 ივლისს ღამით სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა ნაღმსატყორცნებიდან და ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლი დაუშინეს ქალაქ კან-ტხოს აეროდრომს, დაჭრეს 14 ამერიკელი ჯარისკაცი. პატრიოტებმა უკან დაიხიეს ისე, რომ არ დაუკარგავთ არც ერთი კაცი. 360 მილზე საიგონის ჩრდილო აღმოსავლეთით ვიეტნამელმა პატრიოტებმა ჩამოაგდეს ვერტმფრინავი, რომელშიც იყო ამერიკის სამხედრო მრჩეველები.

□ საბერძნეთის ერთიანმა დემოკრატიულმა მემარცხენე პარტიამ მთავრობას მოსთხოვა ბერძენ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება. საბერძნეთის ერთიანმა დემოკრატიულმა მემარცხენე პარტიამ მოუწოდა საბერძნეთისა და მსოფლიო საზოგადოებრიობას გააძლიერონ ბრძოლა პოლიტიკური პატიმრების სიცოცხლის გადარჩენისათვის, საყოველთაო ამნისტიისა და ადამიანის ელემენტარული უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემისათვის საბერძნეთში.

□ როგორც ნიუ-იორკიდან იუწყებიან, კონტინენტალთაშორისო ბალისტიკური რაკეტა „მინიტმენი“ აფეთქდა პაერში კანაველერალის კონსოლის პოლიგონიდან მისი გაშვების ხუთი წამის შემდეგ. რაკეტის ცეცხლმოდებული ნამსხვრევები დაეცა პოლიგონზე და რამდენიმე ადგილას გამოიწვია ხანძარი.

□ ბელგიის პარლამენტის წარმომადგენლთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამ და იურიდიულმა კომისიამ მოიწონეს კანონპროექტი „ატომურძრავიანი გემების მფლობელთა პასუხისმგებლობის“ შესახებ. ეს კანონპროექტი პრაქტიკულად ნებას აძლევს ამერიკის ატომურ ხომალდს „სავანასა“ და „პოლარისის“ რაკეტებით აღჭურვილ ატომურ წყალქვეშა ნავებს შეიჭრნენ ბელგიის ნავსადგურებში.

□ აღმოსავლეთ პაკისტანში გრძელდება წყალდიდობა. განსაკუთრებით საშიში მდგომარეობაა ჩიტაგონგის რაიონში. ადიდებულმა მდინარეებმა წყლით დაფარეს 50 ათასზე მეტი სახლი. ნახევარი მილიონი კაცი უსახლკაროდ დარჩა. დაიღუპა ბევრი პირუტყვი, დიდი ზარალი აქვს მოსავალს. მსხვერპლთა რიცხვი 111 კაცს შეადგენს. წყალდიდობის ზარალი 500 მილიონ რუბიას უდრის.

შეიქმნა „პრეზიდენტი ფრონტი“ იემენში

ლონდონი, 17 ივლისი. (საკდესი). იემენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა სალალმა დღეს გამოაცხადა, რომ შეიქმნა იემენის „ეროვნული ფრონტი“, იუწყება რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ადენიდან.

„ეროვნული ფრონტი“ გააერთიანებს 4 მილიონ იემენელს. „ეროვნული ფრონტის“ მიზანია განახორციელოს არაბთა ერთობის იდეები.

ჰავანის გაზეთების ფურცლებზე

ჰავანა, 17 ივლისი. (საკდესი). დღეს ჰავანის ყველა გაზეთში — „ნოტიციას დე ოომ“, „რევოლუსიონმა“ და „მუნდომ“ დაბეჭდეს შინაარსი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილისა საბჭოთა კავშირის პარტიული ორგანიზაციებისადმი, ყველა კომუნისტისადმი.

ეს ბარბაროსობაა

რასელის წერილი საბერძნეთის პრემიერ-მინისტრს

□

„დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი მათი განთავისუფლებისათვის“. „საბერძნეთს სულ უფრო მეტად გააკრიტიკებენ საზღვარგარეთ, და ოპოზიცია საბერძნეთში კიდევ უფრო ძლიერი გახდება, თუ ყველა პოლიტიკური პატიმარი არ გაათავისუფლეს“, — წერს იგი.

ლონდონი, 18 ივლისი. (საკდესი). ინგლისელმა ფილოსოფოსმა და საზოგადო მოღვაწემ ბერტრან რასელმა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ პაპანელისს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აცხადებს, რომ „მეტად შეძრწუნებულია“ ცნობით, რომ საპყრობილეში გარდაიცვალა ბერძენი პატრიოტი კონსტანტინე გეოლაზიდისი.

რასელი აღნიშნავს, რომ საბერძნეთის მთავრობას უკანასკნელი 18 წლის მანძილზე საპყრობილეში ჰყავდა გეოლაზიდისი მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, და რომ ბრძანებას მისი განთავისუფლების შესახებ ხელი მოაწერეს მაშინ, როცა იგი უკვე კვდებოდა, და აღშფოთებით წერს: „ეს ბარბაროსობაა“.

რასელი წერს, რომ ბევრი სხვა ბერძენი პოლიტიკური პატიმარი მძიმე ავადმყოფია და მათი სიცოცხლე საფრთხეშია, და მოუწოდებს პრემიერ-მინისტრს

„დიდი თაღლითობა“

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. (საკდესი). სენატორმა ჯონ უილიამსმა, რესპუბლიკელმა დელავარის შტატისაგან, სენატში განაცხადა, რომ დაიკარგა 24 მილიონი ბუშელი მარცვალი, რომელიც შეერთებულმა შტატებმა გაუგზავნეს ავსტრიას გაცვლითი გარიგების შესაბამისად.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა სენატში ევერეტ დირქსენმა (ილინოისის შტატისაგან) თქვა, რომ რესპუბლიკელი სენატორები მოითხოვენ შეიქმნას სპეციალური კომისია იმის გასარკვევლად, თუ რა მოუვიდა 32 მილიონ დოლარს (ამ ფასად არის შეფასებული დაკარგული მარცვალი).

„ეს მართლაც დიდი თაღლ

1893-1963

საბჭოთა ეპოქის მგზნებარე მომღერალი

ჩვენი და ჩვენებური

ირაკლი აგაშიძე

□

ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადებამდე 120 წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ რუსეთის დედოფალი ეკატერინე II სწერდა ვოლტერს: „ეს ბაღდათი არც ისე მშვენიერია და არც ისე დიდი, როგორც „ათას ერთი ღამის“ ბაღდადიო“.

მიუხედავად იმისა, რომ დედოფალს არც „ეს“ და არც „ის“ ბაღდადი საკუთარი თვალით არ ენახა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ იგი, რასაკვირველია, არ ცდებოდა ამ შედარებაში. სად აღმოსავლეთის დიდი და სახელოვანი ქალაქი ბაღდადი და სად ცრემლივით ანკარა ხანისწყლის პირად მდებარე პატარა სოფელი ბაღდათი დასავლეთ საქართველოში; მით უმეტეს მაშინ, ორასი წლის წინათ! ამ სახელწოდებათა ეტიმოლოგიაც საკვლევით განსხვავებულია ერთმანეთისაგან; ჩვენი ბაღდათი ბაღებში, ვარდ-ყვავილებში ჩაფლულ სოფელს ნიშნავს. მისმა აყვავებულმა მიწამ და მარად ნათელმა ცამ ათქმევინა პოეტს: „ბაღდათის ცის ვალი მადევსო“.

იმ ბაღდადს, „ათას ერთი ღამის“ ბაღდადს ჩვენი პატარა ბაღდათი სიდიდეში, რასაკვირველია, ვერ შეედრება, მაგრამ სილამაზეში რატომაც ვერა? სწორედ ამ ბაღდათის სილამაზემ ათქმევინა შემდეგ მაიაკოვსკის მთელ საქართველოზე:

„მე ვიცი
უმღერდნენ
ედემს და სამოთხეს,
მაგრამ თუ
ლექსავდნენ ოცნებით,
ალბათ საქართველო
ედემად გამოპყვეს,
მასზე თუ გალობდნენ
მგოსნები“,

„ბაღდათის ცის“ ვალი პოეტმა საფლავში თან ჩაიტანა. გადაიხდიდა უეჭველად, გადაიხდიდა იგი ამ ვალს, იხ. „ბიდისწერო 1930 წლის აპრილის დღე რომ არა. რომ ის დღე არა, ვლადიმერ მაიაკოვსკი ხომ შეიძლებოდა აგერ დღეს ჩვენთან ერთად ყოფილიყო, ამ თავის დიდებულ იუბილეზე.

რა არის 70 წელი? სხვებს რომ არ მოვყვეთ, მაიაკოვსკის ყრმობის რამდენი ამხანაგი ცოცხლობს დღეს და მშვენივრად გრძნობს თავს, — გიმნაზიის ამხანაგები, თანაკლასელი ქუთაისური ქართველები. რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. მოსკოვში ცხოვრობს ექიმი ბეჟანიშვილი, მოსკოვში ცხოვრობდა და ახლახან გადმოვიდა თბილისში საცხოვრებლად ექიმი ამაშუკელი. თბილისში ცხოვრობს ნიკოლოზ ფარულავა, პროვიზორი, პენსიონერი. თბილისშივე ცხოვრობს ვსევოლოდ კაპანაძე — მეცნიერი ლინგვისტი. ბაღდათში დარჩნენ ევპალოზ ცერცვაძე და ექიმი ტყეშელაშვილი. თბილისში ცხოვრობს ფიზიკის დამსახურებული მასწავლებელი გიორგი გაჩეჩილაძე. ორი შვილი ინჟინერი ჰყავს, ერთი კიბერნეტიკის სპეციალისტია თბილისში, მეორეც ჩვენს ახალ მეტალურგიულ და ქიმიურ ქალაქ რუსთავში კაროლაქტამის ქარხნის ინჟინერია.

სიყრმის ამხანაგები სიყრმის ამხანაგებია, მაგრამ ცოცხალია და აგერ პიატიგორსკში ცხოვრობს მათი მასწავლებელი, ვლადიმერ მაიაკოვსკის რუსული ენის მასწავლებელი ქუთაისში — ვსევოლოდ ალექსანდრეს-ძე ვასილიევი. იგი ღრმა მოხუცია, მაგრამ, რამდენადაც ვიცით, თავს კარგად გრძნობს, და მაიაკოვსკის სიყრმის მეგობრებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს პოეტის იუბილეს დღეებში თავი მოიყარონ მის სამშობლო ბაღდათში, ვსევოლოდ ალექსანდრეს-ძეც მიიწვიეს იქ. ალბათ ჩამოვა. ეს ის ვასილიევია, რომელიც ასე იგონებდა შემდეგ თავის პატარა მოწაფეს:

„ვალოდია მაიაკოვსკი მკვეთრად გამოირჩეოდა ამხანაგებში წარმოსადეგი აღნაგობით და ასაკთან შეუფერებელი სერიოზულობით. მისი დიდრონი თვალები შუდამ ჩაფიქრებულად და გულჩამწყდომად გამოიყურებოდნენ. მაიაკოვსკი არ იჩენდა განსაკუთრებულ სიმკვირცხლესა და სიგიჟმაუეს. პირიქით, ის იყო თავდაჭერილი, მშვიდი, თავმდაბალი და ბეჯითი მოსწავლე. ბევრჯერ დამინახავს, თუ რა მოუთმენლად გარბოდა ის რიონის ნაპირისაკენ შესვენების დროს და რაღაცაზე გაცხოველებით ებაასებოდა ამხანაგებს“. და შემდეგ: „1904 წლიდან შევამჩნიე, რომ მაიაკოვსკიმ იწყო სწრაფად განვითარება და კავშირი დაამყარა უფროს ამხანაგებთან“. ეს უკვე ის პერიოდია, რაზეც თვითონ მაიაკოვსკი წერს თავის ბიოგრაფიაში: „გაჩნდა სიტყვა პროკლამაცია“... მაგრამ ამაზე ქვემოთ.

დიახ, შეიკრიბებიან 21 ივლისს ბაღდათში პოეტის სიყრმის მეგობრები და არა მარტო მისი ამხანაგები, არამედ მამამისის — ვლადიმერ კონსტანტინეს-ძის მეგობრებიც კი. ასეთნაირ არიან ჩვენში.

თუ XIX საუკუნის დიდ რუს პოეტებს პუშკინს, ლერმონტოვს საქართველო შთააგონებდა თავისი ბუნებისა და ადამიანების სილამაზით, თავისი მთებითა და ხეობებით, თავისი „მწირითა“ და არაგვით, მეოცე საუკუნის საქართველო დიდ რუს შემოქმედთათვის მაქსიმ გორკისა და ვლადიმერ მაიაკოვსკისათვის არა მარტო ჭეშმარიტი მეორე სამშობლოა, სადაც იშვნენ ისინი როგორც შემოქმედნი, არამედ იგი მათი დიდი საბრძოლო გზის დასაწყისიც არის, მათი ასაფრენი ბუდეც, აქ იწრთობოდნენ ისინი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დიდ რევოლუციურ ბრძოლებში.

პირველ სოციალ-დემოკრატიულ წრეებში, შემდეგ მეტეხის ციხიდან ჭვრეტდა მაქსიმ გორკი ქვეყნის დიდ მომავალს; ქუთაისის მღელვარე დემონსტრაციებში 1905 წელს დაინახა ყრმა მაიაკოვსკიმ ქვეყნის დიდი მომავალი.

ცხრაასხუთი წლის მოვლენები რუსეთის იმპერიის უკიდურესი ჩრდილოეთიდან, პეტერბურგიდან პირდაპირ უკიდურეს სამხრეთს, კავკასიას გადაეცა ელექტრობის სისწრაფით. საქართველო იქცა რევოლუციის სამხრეთულ მხურვალე კერად. ამას აღნიშნავდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მაშინ გაზეთ „პერიოდში“. საქართველოში კი ერთ-ერთი ძლიერი რევოლუციური ტალღა ქალაქ ქუთაისში შეიგრა, სადაც მაშინ გიმნაზიაში სწავლობდა თორმეტი წლის ყრმა ვლადიმერ მაიაკოვსკი. დემონსტრაციები, მარსელიოზა, წითელი დროშები, შეძახილები: „ძირს თვითმპყრობელობა“. მაიაკოვსკი იზეპირებს და ხმამაღალ გაჰყვირის ირიდინ ეედოშვილის რევოლუციურ, მომწოდებელ ლექსს „მეგობრებო, წინ, წინ გასწით!..“ დემონსტრაციებში მონაწილეობენ ქალაქის სკოლათა მოსწავლეებიც.

იგივე ვასილიევი იგონებს: „ამ მოსწავლეთა შორის იყო მაიაკოვსკი. იგი ვერ მხედავდა მე, მე კი თვალყურს ვადევნებდი ახალ მაიაკოვსკის, რომელსაც თურმე, ჯერ კიდევ ვერ ვიცნობდი“. მაიაკოვსკი ამ დროს აქტიური მონაწილეა 1905 წლის დიდი ამბებისა. იგი თავის ბიოგრაფიაში თვითონ წერდა ამის შესახებ: — „ბაუმანის ხსოვნის დემონსტრაციაზე პანიკის (შესაძლოა დარბევის) დროს მე (ძირს დაცემულს) თავში დამეცა „უზარმაზარი დოლი“. ან იქვე: „ჩემთვის რევოლუცია ასე დაიწყო: ჩემი ამხანაგი, მღვდლის მზარეული — ისიდორე, სიხარულისაგან ფებზშიშველი შეხტა ქურაზე — მოჰკლეს გენერალი ალიახნოეო. საქართველოს დამსჯელი. დაიწყო დემონსტრაციები. მეც წავედი. კარგია...“ „კაზაკები გვამათრახებენ ყველაზე. აქ მოხდა ჩემი პირველი ნათლობა როგორც რევოლუციონერისა და აგიტატორის“. ამას დაურთეთ თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშის — არსენ ჯორჯიაშვილის მიერ გასროლილი ყუმბარა და ორი ათეული წლის შემდეგ ეს ყველაფერი ასე აყალიბა მაიაკოვსკის ლექსში:

„და თავისუფლების
დილაც სისხლიანი
დგება —
ეს ხსოვნაა წუთისა,
და აი
მე ვისვრი,
მე გმირი არსენა,
ყუმბარას
იმ ცხრაასხუთისა.
დაჰქროდნენ პაკებად
ბატონის წულები:
მე კი იმ წლებში რომ
დამდაღეს,
ყოველდღე გიგონებ
ტკივილით,
წყლულებით
იმ ალიბანოვის მათრახებს“.

„ეს იყო რევოლუცია. ეს იყო ლექსები. ლექსები და რევოლუცია როგორღაც გაერთიანდნენ ჩემს თავში“, — წერდა შემდეგ პოეტი. ყოველივე ამის შემდეგ მართლაც კარგად და სწორად ისმის მაიაკოვსკის სიტყვები 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციაზე: „ჩემი რევოლუცია“.

სწორედ ამ დაუვიწყარმა წლებმა, საქართველოში გატარებულმა ცამეტმა წელმა ათქმევინა ვლადიმერ მაიაკოვსკის თავის ლექსებში არაერთხელ: „დიახ, მე ქართველი ვარო“...

„როგორც კი დავადგი
ფეხი კავკასიას,
მყისვე მომაგონდა,
რომ მე ქართველი ვარ“.

ან სხვა ლექსში:

„ერთი ბაბუა მყავს კაზაკი,
— ერთიც სეჩელი,
მე კი ქართველი ვარ დაბადებით“.

ვადიდებ სამშობლოს, რომელიც არის,
და სამგზის—რომელიც იქნება!

3. მაიაკოვსკი

რასაკვირველია, ვლადიმერ მაიაკოვსკიმ დიდებულად იცოდა, რომ იგი დაბადებითაც რუსი იყო და არა ქართველი, მაგრამ მისი ამგვარი აღიარება იყო ულრმესი სიყვარულის გამოცხადება სამშობლო საქართველოსადმი და ყველაფერი იმისადმი, რაც მას ამ ქვეყანამ სიცოცხლის დასაწყისშივე მისცა და უსაგზლა. ამ სიმდიდრეს კი პოეტი ყოველთვის დიდად აფასებდა. მაიაკოვსკის შემოქმედებაში ნამდვილად არის ქართული, — სამხრეთული მზის მცხუნვარება!

დიახ, ვლადიმერ მაიაკოვსკის მთელი შემოქმედებისათვის ჭეშმარიტად უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა პოეტის ყრმობის წლებს. მაშინ გაჰარა მან არა მარტო ქუთაისის სკოლა, არამედ სკოლაც რევოლუციური ქარტეხილებისა, რევოლუციონერის ჭეშმარიტი სკოლა ორმაგი ჩაგვრის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ამ სამაგალითო ქვეყანაში, საქართველოში. ამ წლებმა, ისევე როგორც „ქარიშხალის“ ავტორის საქართველოში გატარებულმა ექვუკობის წლებმა, განსაზღვრეს მთელი გზა ახალი დროის, რევოლუციური ბრძოლებისა და სოციალიზმის ეპოქის პოეტური სიტყვის ბაირახტარისა, განსაზღვრეს ოქტომბრის რევოლუციის შთაგონებული მგოსნის მთელი მომავალი.

მაიაკოვსკეების ოჯახი. დგანან პოეტის მამა ვ. კ. მაიაკოვსკი და უფროსი და ლიუდმილა. სხედან: პოეტის დედა ალექსანდრა და უმცროსი და ოლგა. შუაში ვლადიმერ მაიაკოვსკი, ქუთაისის გიმნაზიის მე-3 კლასის მოსწავლე. 1905 წელი.

შენ და ბაღდათი

ვ. მაიაკოვსკის

გიზეპირებენ ღელვით და თრთოლვით
და სტრიქონები ქრიან რაშებად.
აქ გაბაფხულის ფერადი თქორი
აყალო მიწას გულზე ამრგვა.
მუხლს გისინჯავდა ფერსათი, დიმი
თავის აღმართითი, თავის დდმართით;
ყოველ საღამოს და ყოველ დილით
თვალებში გენთო სივრცე ბაღდათის.
აქ შენ გინახავს კავით და გუთნით
ხალხი გამოკვე და ხალხი კეთილი.
აქ კლდეებს სუროს ძარღვები უთრთის,
კლდეებს განიერს შენი მკერდივით.
ირგვლივ მრავლდება ფერები ქარვის,
მაღლდება ნისლი როგორც სურვილი.
ლურჯ ტყეებს მძაფრად ეხლება ქარი
მოუსვენარი შენი სულივით.
აქ ჩანჩქერები ურჩი და ფიცხი
ცაში გაფრენას ლამობს კინაღამ...
შენი ბავშვობის უდარდელ სიცილს
ვეება მთები უბით ინახავს.
მონატრებიხარ ქარაფს და ჭიუხს,
და მართალია მათი წადილი...
პოეზიაში შემოხველ ჯიქურ
აქაფებული ხანისწყალივით.
ჭგავს წყაროები ჩუხჩუხა მაჯრებს,
ხავსის კულულებს არხევს ფრიალო...
შენი ლექსები ბოშებად გაჩნდნენ
მსოფლიოს გზებზე სახეტიალოდ.
სიკვდილს დასცინი უსუსურს, უძლურს,
ჩვენთან ესწრები ლხინებს, ნადიმებს...
და საქართველოს რძესავსე ძუძუ
ალალი ყოს შენზე, ვლადიმერ.

ტაგუ მეგურიშვილი.

... ოქტომბრის

ირაკლი ოსაძე

□

ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით მაიაკოვსკისთან ერთად და კიდევ ვნადიმობდით ხან „სიმპატიაში“ და ხანაც „ოლიმპიაში“, პუშკინის ქუჩაზე.

განსაკუთრებით მახსოვს „ვალოდიას“ პატივსაცემად ჩემი წრის მიერ გამართული ნადიმი, რომლის მონაწილენი ვიყავით პაოლო, ტიციანი მეუღლეებით, სანდრო შანშიაშვილი, ნიკოლოზ შენგელაია და მე.

ნადიმი გავმართეთ მტკვრის პირას, ოროატალაში „ჩოფურაშვილთან“ (შემდეგ ესეხინიც გვყავდა იქ), შევყევით ნადიმს, ლექსებსა და ლაპარაკს „ბინდით ცისკრამდის“, როგორც იტყვის რუსთაველი. მაიაკოვსკი მხიარულ გუნებაზე იყო, კითხულობდა ლექსებს, ბევრს ლაპარაკობდა საქართველოზე, ქართულ მწერლობაზე, ბაღდათზე, ქუთაისზე, პოეტებზე. ბევრსაც ხუმრობდა, მხოლოდ სმას კი ერიდებოდა. შემდეგ ჩვენ, მასპინძლებმა, ვიჭიდავეთ და ჩვენს ჭიდაობას გაფაციცებით აკვირდებოდა თვალყურს.

სხვათა შორის მაშინ, საუბარში მე ვუამბე მაიაკოვსკის, რომ მის ბაღდათს იხსენიებს ეოლტერი ეკატერინე მეორესთან მიმოწერაში. როცა სოლომონ მეფემ აიღო ბაღდათი, სადაც თურქების მეცხიერვნე ჯარი იდგა, იმერეთის დედოფალმა მოითხოვა, რომ იგი ცხენით პირველი შესულიყო აღებულ ქალაქში. ამ ამბავს ატყობინებს ეკატერინე ვოლტერს, და უკანასკნელიც თავისას მიუზღავს ქართველი ქალის მხედრულ სურვილს. ეს ამბავი მაიაკოვსკის ძალზე გაეხარდა და იძახდა: „აპა, მაშ როგორ, მაშ როგორ, ბოშო! როგორი ბიჭები ვართ“!

შეთენდა. დავიშალენით. წავიდნენ ტიციანი და პაოლო თავიანთი ცოლებით, სანდრო და კოლია, ხოლო მაიაკოვსკი და მე დავრჩით. კიდევ ვილაპარაკეთ. ეტლი ვერ ვიშოვნეთ, პირველი ტრამვაით წამოვედით ორთაჭალიდან. ერევნის მოედანზე გამოვეშვიდობეთ ერთმანეთს.

ეს იყო უკანასკნელი შეხვედრა.

მერე „ვალოდია“ ბრინჯაოს ძეგლად მდგარი დავინახე მაიაკოვსკის მოედანზე მოსკოვში.

მარად ცოცხალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

□

რევოლუციის დიდი ტრიბუნი ვლადიმერ მაიაკოვსკი განსაკუთრებით ახლოს იყო ჩვენთან, ქართველებთან. თვითონაც ხომ ამბობს ლექსში, „დაბადებით ქართველი ვარო“. მხედველობაში ჰქონდა ის, რომ დაიბადა საქართველოში, აღიზარდა ბაღდათ-ქუთაისში. ამიტომ მაიაკოვსკი ჩამოდიოდა თბილისში არა როგორც სტუმარი, არამედ როგორც შინაური თავის საკუთარ სახლში. იგი კარგად იცნობდა ჩვენს ყოფას, ცხოვრებას.

მშვენივრად ლაპარაკობდა ქართულს „იმერული“ აქცენტით. (უყვარდა სიტყვები „ბოშო“, „აპა!“). ქართულ ენას „ფსოფლიოში უძველეს ენაა“ ეძახდა და ძალზეც უყვარდა. იგი აღშფოთებული იყო ქართული ენის რუსიციზმებით აჭრელების გამო.

— ბოშო, გუშინ ბაზარში ვიყავი, — — მომმართა მაიაკოვსკიმ სუფრაზე, — და ასეთი ქართული გავიგოთ: „სლესარს კალესო წვუდე გასაკრასკავად“. რა ქართულია? შიგ მარტო ერთი სიტყვაა ქართული!

მაიაკოვსკი მოითხოვდა ქართველი პოეტებისაგან ქართული ენის მოვლა-პატრონობას, მისი სიწმინდის დაცვას.

პირველად მაიაკოვსკი ვნახე 1914 წლის მარტში თბილისში. იგი მონაწილეობდა „ფუტურისტულ ტურნეში“ ვასილ კამენსკისთან ერთად. მახსოვს, მაშინ იგი ცხოვრობდა ახალ სასტუმროში, სწორედ იმ შენობაში, სადაც დღეს კულტურის სამინისტროა (მგონი „პალასტელი“ ერქვა). მათი საღამო გაიმართა არა ოპერის თეატრში, როგორც წერენ ხოლმე, არამედ კონსერვატორიის დარბაზში.

კარგად მახსოვს, წყნარი, მზიანი გაზაფხულის საღამო იყო, 6-7 საათი. ჯგუფს წინ მიუძღოდა მაიაკოვსკი, მხიარული და ღონიერი. ჩვენ, რამდენიმე თბილისელი მოწაფე, უკან მივყვებოდით. საღამოს მეც დავეესწარი. ქართული საზოგადოებისათვის სრულიად მოულოდნელად მაიაკოვსკიმ შესავალი სიტყვა წარმოთქვა ქართულად, რამაც მსმენელებში დიდი აღტაცება და ტაში გამოიწვია (მაშინ ხომ ჩვენი ენა საკმაოდ დევნილი იყო!).

პაოლო იაშვილსა და ტიციან ტაბიძეს ძმასავით უყვარდათ „ვალოდია“. ორივენი მისი პოეზიის მხურვალე აგიტატორებიც იყვნენ: პაოლომ თარგმნა ქართულად „მარცხენა მარში“ და სხვა ლექსები. ტიციანმა კი — „მისტერია-ბუფი“.

რუსული ლექსის დიდი ოსტატი

ვლადიმერ მაიაკოვსკი სულერი წყობით უმთავრესად ლირიკოსი პოეტია. პოეტის სალხლო ზრახვები პირადულთან ორგანულად შერწყმულია და ყველაფერი წრფელი ლირიკული ხმით არის გამოთქმული. მისი პოემები: „შარვლიანი ღრუბელი“, „ხერხემლის ფლეიტა“, „ადამიანი“, ტრაგედია „ვლადიმერ მაიაკოვსკი“, „ამის შესახებ“ და „მიყვარს“ უპირველეს ყოვლისა ავტორის შინაგანი მონოლოგებია, თვითეული მათგანი სულის განზოგადებული აღსარებაა. „მარცხენა მარშის“ ავტორისათვის პოეზია საბრძოლო იარაღია, ცხოვრების გარდასაქმნელად მოწოდებული პირადული ძახილი.

პოეტმა ყველა პირადული ზრახვა ხალხურ გრძნობაზე დაამყარა და ლირიკულობა სახალხო საქმედ გამოაცხადა. ლირიკულ აღსარებაში შეინარჩუნა საზოგადოებრივი მოვალეობის დიდი შეგნება და ხალხის საკმისათვის თავდადების გრძნობა. ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსებში გამეფებულია სულის სიჭაბუკე, ცხოვრების სიყვარული და ძაღალი საბჭოთა ჰუმანიზმი.

პოეტის მიერ შექმნილ ლირიკულ სამყაროში „გამორჩევა მისი სატრფიალო ლექსები. სიყვარულის თემაზე დაწერილი ლექსები დიდად საყურადღებო და განსაკუთრებული შესწავლის ღირსია. სიყვარულის თემაც მისთვის ორგანული თემაა. სიყვარულის კეთილშობილი გრძნობა სადმი მიძღვნილია პოემები „შარვლიანი ღრუბელი“, „ხერხემლის ფლეიტა“, „ამის შესახებ“ და „მთელი ხმით“, ლექსები: „ლილი“, „წერილი სიყვარულზე“ და სხვა მრავალი. პოეტის აზრით „ეს თემა არასდროს არ გაცვეთება“.

თუ რევოლუციამდელ მის სატრფიალო ლექსებში ერთგვარი სასოწარკვეთილების გამომხატველ ტრაგიკულ ხმას ვაჰზევთ, რევოლუციის შედეგად ამ გრძნობამ მის პოეზიაში დიდი ცვლილება განიცადა. სიყვარულზე დაწერილი ლექსები ჰუმანიზმის და მეგობრობის სიმღერად გადაიქცა. პოემაში „ამის შესახებ“ სიყვარული მიწიერი ცხოვრების საფუძვლად არის გაძოცხადებული. იგი სიცოცხლის სიმღერაა და სულის მშვენების მაუწყებელია. მისი სატრფიალო ლირიკა მძაფრი და ნაპირებგადალახული.

მისი სატრფიალო მონოლოგები საოცარი გაქანებით ხასიათდება. პოეტის შემოქმედებაში სიყვარული ბიოგრაფიულად განცდილია და როგორც პირადი, ისე ხალხის ცხოვრების წამყვანი ბრძნობა. ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეზიაში ლირიკული წიაღსვლებია გაფუფებული. და, როგორც ვთქვით, ყველაფერი წრფელი პოეტური ხმით არის გამოთქმული.

მიუხედავად ამისა, ვლადიმერ მაიაკოვსკი რუსულ პოეზიაში ახალი პოეტური ეპოსის ფუძემდებელია. პირველად „კარგიას“ ავტორმა შექმნა ახალი ტიპის პოემა. ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაწერილ მის პოემაში „ომი და მშვიდობა“ ლირიკული წიაღსვლების გვერდით მაღალი ოსტატობით გამოყენებულია ომის ეპიკურ-ტრაგიკული სურათები. ხოლო მისი პოემები „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“ და „კარგია“ რუსული საბჭოთა ეპიკური პოეზიის შედევრებია.

ვლადიმერ მაიაკოვსკიმ რუსული ეროვნული ფორმა დაუკავშირა ინტერნაციონალურ იდეას და პოეზიაში ხალხურობა დაამკვიდრა, ხალხურობის ცნება გააფართოვა. მან გამდიდრა რუსული პოეტური ენა ქალაქური ხალხური ლექსიკით და ხალხური გამოთქმებით. მან რუსი ხალხის ყოველდღიური შეტყვეულება და მისი სასაუბრო ენის პოეტიზაცია მოახდინა. ხალხური სასაუბრო ენა ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში შეიტანა და პოეზია გაახალხურა, რითმის დემოკრატიზაცია მოახდინა. ლექსის ბრწყინვალე ოსტატმა გააძლიერა სტრიქონის ემოციური მხარე და პოეზია მილიონების საკუთრებად აქცია.

პოეზია და ლეგენდა

გიორგი ნატროშვილი

მაიაკოვსკის რომელიღაც ბიოგრაფიაში წამიკითხავს — მამას, პროფესიით მეტყევეს, პატარა ვალოდია თურმე ხშირად დაჰყავდა ტყიან ხეობებში, სადაც კლდეებს უმძაფრესი ქარიშხლები ეხლებოდნენ და აზანზარებდნენ.

იმ ქარიშხლებს, ხეობებს, ბაღდათის ლურჯ ზეცას ვალი ვერ გადავუხადეო, სინანულით წერდა პოეტი მოგვიანებით. ამისათვის მან მართლაც ვეღარ მოიცალა, რადგან მისი გული, მისი არსება მთლიანად და განუყოფლად მოხიბლა, დაპყრო და გაიტაცა მსოფლიო ისტორიის უმძლავრესმა ქარიშხალმა, რომელმაც ცხრაას ჩვიდმეტი წლის ოქტომბერში დასაბამი მისცა კაცობრიობის ახალ ისტორიას.

აი სწორედ ამ ქარიშხლის გუგუნი ისმის მაიაკოვსკის პოეზიაში, ისმის ისტორიის ნაბიჯების ხმა, ისმის ყიჟინა პოლკებისა, რომლებიც იერიშზე გადადიოდნენ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად: პოეტის სტრიქონებში ეპოქის მაჯისცემა იგრძნობა და მისი წიგნის მკითხველის თვალწინ იშლება უზარმაზარი პერსპექტივა, თუ საით მიდის კაცობრიობის ისტორია.

ძალიან დიდი, უზარმაზარი პოეტი უნდა იყო, რომ ეს შეძლო, რომ ლექსში ჩატიო მთელი ეპოქის ცხელი სუნთქვა, რომ ლექსში მილიონების ოცნება გამოხატო; ასეთი პოეზია, დეკადენტური, კამერული ლირიკის სპირიტსიროდ, დაამფუძნა სოციალიზმის ეპოქამ, და მაიაკოვსკი ამ ახლებური ლირიკის ყველაზე დიდი, ყველაზე შესანიშნავი ოსტატი იყო.

მაიაკოვსკის ლექსი — ეს არის ის, რასაც დღეს პარტია და ხალხი პოეტისაგან მოითხოვენ; მაიაკოვსკი — რევოლუციისა და სოციალიზმის მამაცი ჯარისკაცია, რომელიც მიუხედავად ფიზიკურად ჩვენთან არყოფნისა, მაინც დგას თავის საგუშაგოზე, დგას ფხიზლად, თვალმოუხუჭავად; ეს არის პოეტი-ტრიბუნი, მქადაგებელი ჰუმანიზმისა და სამშობლოს სიყვარულის მაღალი იდეებისა.

დიდ პოეტს ლეგენდა ჩრდილივით აედევნება ხოლმე. მაგრამ ეს უფრო შორეული ეპოქების პოეტების მიმართ ხდება. ხოლო მაიაკოვსკი თითქოს გუშინ იყო ჩვენს შორის, თბილისში ახლაც ატარებელი ხალხი შეგხვდებათ, ვისაც მაიაკოვსკისთან ახლო ურთიერთობა ჰქონია — მასთან ერთად უმოგზაურნიათ, ლიტერატურულ საღამოზე გამოსულან, შინ დაუპატიჟებიათ; მათ ყველა სიტყვა ახსოვთ მაიაკოვსკისა, ახსოვთ, როგორ იდგა ტრიბუნაზე, როგორ ხუმრობდა, როგორ იცინოდა, ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი ნაცნობია და ლეგენდისთვის თითქოს იოტის ოდენა ადგილიც აღარ რჩება...

მაგრამ ადამიანის ფანტაზია ასე ადვილად ვერ მოსწყდება, ვერ მოშორდება ხოლმე საყვარელ აჩრდილს, და აი მაინც იქმნება ლეგენდა პოეტზე...

შარშანწინ მოსკოვში გამოიცა ცნობილი რუსი მწერლის ვიქტორ შკლოვსკის წიგნი „ისტორიული ამბები და მოგზაურობები“. მაიაკოვსკი და შკლოვსკი მუდამ უახლოესი სულიერი მეგობრობის ძაფებით იყვნენ დაკავშირებული ერთმეორესთან; და აქაც, ამ წიგნშიც, შკლოვსკის გაუხსენებია დიდი პოეტი და აუწერია, თუ როგორ შეხვდნენ ერთმეორეს პირველი მსოფლიო ომის წანადღეებში, თბილისში, სუფრაზე მაიაკოვსკი და ნიკო ფიროსმანაშვილი.

საიდან სადაო, იფიქრებს მკითხველი, რა ჰქონდათ მათ საერთო; ეროი შეხედვით, მართლაც ბევრი არაფერი. სიმონ ჩიქოვანისაგან გაგონილი მაქვს, რომ მაიაკოვსკი აღტაცებული იყო ფიროსმანის სურათებით და ერთხელ უთქვამს კიდეც სიმონისათვის: „ფიროსმანი გაცილებით უფრო უშუალო და მომხიბვლელია, ვიდრე ანრი რუსო“. ხოლო თვით ფიროსმანს, ცხადია, არ ეცნობებოდა იმ დროს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტი.

და მაინც ლეგენდა თავისი გზით მიდის, იმიტომ რომ ამ ორ ადამიანს თურმე როგორ არა ჰქონიათ საერთო — ორივეს გული ხომ ადამიანის სიყვარულით იყო სავსე...

მაგრამ გავყვეთ ლეგენდას ისე, როგორც მას შკლოვსკი მოგვითხრობს.

თბილისი, ცხრაასთოთხმეტი წელი. პუშკინის ქუჩაზე, სარდაფში ხელოსნებს მოუყრიათ თავი, შუაში ფიროსმანი უზით და ომას შეჰხარიან, ეფერებიან, ეალერსებიან, დღეგრძელობას უსურვებენ ნიკალას, მარჯვენაზე ემთხვევიან და ლოცავენ.

ძალზე მაღალი, უცნობი ჭაბუკი შემოდის სარდაფში, განივრად მოალაჯებს, სტუმარმა გაიხადა პალტო და ყვითელი კოფთა გამოაჩინა. მისი ფერი არავის გაჰკვირვებია, კარგი, ლამაზი ფერი იყო და ეხმიანებოდა კიდეც ფიროსმანის სურათებს, რომლებიც იქვე, სარდაფში ეკიდა.

ჯმუხი კაცი, რომელმაც ჭაბუკი მოიპატიჟა, წამოდგა და ახლად შემოერთებულ სტუმარს მიმართა:

— ძეირფასო მეგობარო, იმისათვის, რომ პატივი გცეთ და დავლიოთ თქვენი მამის სადღეგრძელო, რომელმაც თქვენთან შეხვედრის სიხარული მოგვანიჭა, გვითხარით თქვენი სახელი. და თუ არ გინდათ, სხვა სახელი გვითხარით, ჩვენც მას დაგიძახებთ და მაინც მოგვეწონება ის სახელიც.

უცნობი წამოდგა და უთხრა მათ:

—მე პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი ვარ. დღეს სახაზინო თეატრში გამოვედი, დისპუტი იყო პოეზიაზე... მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრისა.

ფიროსმანის მხარმარცხნივ მოხუცი იჯდა. ახლა მან მიმართა სტუმარს:

—ბატონო ვლადიმერ... ახალციხეში ერთი მაიაკოვსკი ცხოვრობდა, კონსტანტინე ერქვა სახელად. სასამართლოში მუშაობდა. ერთხელ მან დაპატიჟა ყველანი, რომელნიც მასთან მიდიოდნენ და უჩიოდნენ ერთიმეორეს, ებრძოდნენ, ეჩხუბებოდნენ, ზოსაკლავად იმეტებდნენ თავისსავე მოძმეებს. დასხა ყველანი ერთ სუფრასთან — ახალგაზრდებიც, ბებრებიც, ლამაზებიც, სათნო ხასიათის მქონენიც და ჩხუბისთავებიც. დასხა ერთად ყველანი და უთხრა: „ძალიან, წითელი ღვინო უფრო მართალია, ვიდრე თეთრი ქაღალდიო“, და ჩვენც დაგლიეთ... ის თქვენი პაპა ხომ არ იყო?

— დიახ, ის ჩემი პაპა იყო — თქვა სტუმარმა.

ბაბ ავდგეთ და დავლიოთ კეთილი კაცის შესახებ. დავლიოთ მეგობრობის, ჩვენი შეხვედრის სადღეგრძელო. ეს საღამო, როცა თქვენ აქ შემოხვედით, ბედნიერი საღამოა. მე ჩემი მეგობრის შვილიშვილი ვნახე.

ძალიან. წამოდგა მეორე მოხუცი და თქვა:

— ბაღდათში, ხანისწყალთან, ერთი სახლი მახსოვს, წიფლის მორებით აგებული. იქა ცხოვრობდა მეტყევე ვლადიმერ მაიაკოვსკი... ბეჭავსა და ღატაკს არ უშლიდა ფიჩხი გამოეტანა ტყიდან... კარგი კაცი იყო... ბევრჯერ მინახავს — კიბეზე იჯდა ხოლმე და ეუხლებზე ესხდა პატარა გოგო და ბიჭი — ორივე შავთვალა... ერთი სიმღერა უყვარდა ძალიან, რაღაც უცნობ ენაზე იყო. მე ამისი მარტო დასაწყისი მახსოვს: „ალონ ზანფან დე ლა პატრი“...* თქვენ ამისი შვილი ხართ?

მაიაკოვსკი წამოდგა და უთხრა:

— დიახ, მე ამისი შვილი ვარ და ვსვამ მისი მეგობრის სადღეგრძელოს.

პოეტის სიტყვას ხმატკბილი დუღუკი აჰყვა. მერე ისევ მოხუცმა წამოიწყო:

— მეგობარო, — მიმართა მან მაიაკოვსკის, — შენ უკვე გიცნობთ, შენ ჩვენიანი ყოფილხარ, ახლა ჩვენც გაგვახარე— მოგვისმინე რომ შეგვყარა აქ. აი აქ. ჩვენთან ზის ჩვენი ფიროსმანი, მხატვარი... რასაც ის ხატავს, გასაგებია არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყველა კაცისათვის ქვეყანაზე, ვინც მიწასა ხნავს, ან თოხი უჭირავს ხელში, ან რკინასა ჭედავს... ის ხატავს ქალებს, რომლებსაც აღარ გინდა თვალი მოსწყვიტო, ხატავს საპმელს, რომელსაც მუდამ მოინატრებ, და ხატავს ბოძენ ადამიანებს, რომელთა სიტყვაც არ მოგწყენდება. და შენ ჩვენი ნიკალა ღანი, ბოლოს ეს ბოლოა, ეს ბოლოა, ეს ბოლოა, ეს ბოლოა, ეს ბოლოა, ეს ბოლოა, ეს ბოლოა, ეს ბოლოა, ეს ბოლოა, ეს ბოლოა, ეს ბოლოა, ეს ბოლოა, ეს ბოლო

„ბაღდათელი ბიჭი ვარ!“

მერცხლის სიმი ბუდეა ციაფერი სახლის ირგვლივ. ერომანგთის ახლო აქვთ თავიანთი სახლ-კარი მზისა და ადამიანების მოტრფიალე ფრინველებს.

სისხამი დილაა. მერცხლები უკვე სანავარდოდ გაბრილან, ბაღდათის ფირუზოვან ცაში მიმოფეინან გაზაფხულის ლაღი მგალობლები. ტკბილად, სამოდ ციკციკებენ ბუნების გამოცოცხლების გულთეთრი მგზნებები.

რა კარგია, რომ მერცხლები ახლა ჩემ თვალწინ დაჭრიან და მაიაკოვსკის უდარდელ ბავშვობას მახსენებენ ამ ულამაზეს ქართულ დაბაში. ისინი გარს უვლიან ისტორიულ სახლს, თავს დასტრიალებენ, თითქოს გასდევენ საკალმახო მდინარე ხანისწყალს და ხანდახან ფრთასაც გაკრავენ ხოლმე.

ჩვენი ეპოქის დიდი პოეტი რევოლუციის მერცხალი და ტრიბუნი იყო. ჯერ კიდევ სიკამბუკეში, პირველი მსოფლიო ომის ჭექა-ქუხილში იგრძნო და იწინასწარმეტყველა მაიაკოვსკიმ მომავალი გრიგალის მოვარდნა, სასახლეთა ზანზარი, ტახტების მსხვრევა, ოქტომბრის მოახლოება:

რევოლუციის ეკლის გვირგვინით
გვიახლოვდება თექვსმეტი წელი.

ეკლის გვირგვინით, — ამბობს მაიაკოვსკი. განა ვარდი უეცლოდ ვისმე უკრეფია! რევოლუცია ხალხის ოცნების ვარდობა იყო და ისიც მოგრიალდა მაიაკოვსკის დათქმული თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

მაგრამ ეს გაკვრით, გასახსენებლად. ამხანად კი ჩვენ ეს ანკარა ხანისწყალი და მის ნაპირთან შობილი პოეტის, ბავშვობა გვნდა მოვიგონოთ.

დრო-უამი ვერ ცვლის პირველ სიყვარულს, თუ გულში მაგრად გიდგა ფესვი. ამის ბრწყინვალე დასტურია ბაღდათელი ბიჭის უებრო სიყვარული საქართველოსადმი, ბაღდათის ლაჟვარდოვანი ზეცისადმი.

საქართველოს სიყვარული გაჰყვა მაიაკოვსკის ზღვებსა და ოკეანეებს იქით, გორკის თქმით, ყვითელი ეშმაკის ქალაქში — ნიუ-ორკშიც.

ზღაპრულად ბრწყინავდნენ ბროდვეის ლამპიონები. თვალი ბრმავდებოდა მათი ელვარებით, მაგრამ გულს მაინც ახსოვდა ბაღდათის ზეცა.

რა ჰქვია ამას, თუ არა სამშობლო კუთხისადმი უანგარო სიყვარული! სწორედ ამ ალამმა, სპეტაკმა სიყვარულმა ათქმევინა ამერიკაში მოგზაური პოეტს გულიდან ამღომბლური სიტყვები:

ვალში ვართ შენთან,
ბაღდათის ცაო!

ახლა მეც დამყურებს ეს მშვენიერი ცა. ვდგავარ მიწაზე, სადაც ამ სამოცდათი წლის წინათ, 19 ივლისს, მეტყველის ვლადიმერ მაიაკოვსკის ოჯახში დაბადა რუსული ლექსის რეფორმატორი და გუთნისდედა ვლადიმერ მაიაკოვსკი. იგი მეოთხე. ამავე დროს ნაბოლარა შვილი იყო ბაღდათელი მეტყველისა.

მეზობლებმა მიულოცეს ბედნიერი დღე. პირველი ვაჟი კოსტია ქუნთრუშის მსხვერპლი გახდა და უკვე მიწას მიბარებული იყო. ოჯახის სევდა ახალშობილი ვაჟის გაჩენამ შეამსუბუქა, და რადგან მისი მოსვლა ამქვეყნად მამის დაბადების დღეს დაემთხვა, სახელის დარქმევაზე ბევრი არ უფიქრიათ, ნანატრ ბიჭუნას ვალოდია უწოდეს. თანაც ისიც დასძინეს მეზობლებმა, რომ დიდი კაცი — „პროვიზორი“ უნდა გამოსულიყო.

გასაგებია. სოფლად მაშინ არც აფთიაქი იყო, არც სკოლა, არც საავადმყოფო, ყველაზე დიდ კაცად პროვიზორი მიაჩნდათ. ასე ეგონათ, შვილი მამას დაემსგავსებოდა „გულკეთილობაში“ და წამალს არ მოაკლებდა გაჭირვებულ გლეხკაცობას, ისევე როგორც მეტყველ შეშას და საშენ მასალას არ იშურებდა.

ამ ეროვნ სხვა მხრივ გაუმართლდათ. მართალია, მაიაკოვსკი პროვიზორი არ გამოსულა, რომ რეცეპტებით წამლები ემზადებინა, თუმცა ესეც სახალხო საქმე იყო, მაგრამ მან უფრო მნიშვნელოვანი, მრავალსაუკუნოვანი საქმე გააკეთა — გულისა და გონების უბადლო წამალი მისცა კაცობრობას, რომელსაც ბოლოს, სიკვდილის წინა თვეებში „მთელი ხმით“ უთხრა:

საუკუნეთა
ქედთან მივლენ ჩემი ლექსები
პოეტების და
მთავრობების თავების მაღლა.

სახლ-მუზეუმში დაცულია მაიაკოვსკის აკვნის პროტოტიპი. იგი პოეტის დედის მითითებით გაუკეთებიათ ხისაგან, რომლისგანაც ნამდვილი აკვანი იყო. იქვეა უბრალო სკივრი, კარადა, ხაწოლი. მამის კაბინეტში — ფარდაგიანი ტახტი, ძველებური საწერი მაგიდა, ზედ საანგარიშო, ორიოდე წიგნი, კედელზე კი მამისეული ნაბადი და მცენარეთა ჯიშების აღმნუსხველი დაფა.

მოასფალტებულ გზას მივყვებით სახლამდე, სადაც საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოემართებიან მნახველები. დღე ისე არ გავა, რომ ჯგუფურად არ ეწვიონ ექსკურსანტები.

მაიაკოვსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობით უმასპინძლდებიან სტუმრებს სახლ-მუზეუმის დირექტორი ნიკოლოზ კუჭუხიძე, მეცნიერი მუშაკი ნაზიკო ენდელაძე, ექსკურსიათმძღოლი გიორგი ჩიქვინიძე და თანამშრომელი ნანული გამეზარდაშვილი.

განა საქმე დაელევათ! მით უფრო ახლა, როცა ათასობით მნახველი აკითხავს დიდი პოეტის სამშობლო დაბას ამ საიუბილეო დღეებში!

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ სახლ-მუზეუმის კეთილმოწყობისათვის. სახლი გამდიდრებულია ახალი ექსპონატებით.

ყურადღებას იქცევს კუთხე „კოსმოსი და მაიაკოვსკი“. პლაკატიდან გვიმზერს ცისკენ ხელამართული პოეტი და მოგვიწოდებს:

ვბრძანებ:
დრო არის,
ვიფრინოთ მარსამდე!..

სრულდება რევოლუციის ბობოჭარი ტრუბადურის ნატვრა. ციურ სამყაროს ევლინებიან სივიცეთა დამპყრობნი კოსმონავტები. ჩვენი ქვეყნის ხუთ ლეგენდარულ ციურ რაინდს უკვე გვერდით ამოუდგა უმამაცესი გოგონა, სახელოვანი ვალენტინა.

არ მოვტყუვდებით, თუ ვიტყვით, მაიაკოვსკის სიცოცხლე რომ დასცლოდა, ვერავინ დაასწრებდა პირველს ეთქვა კოსმოსის გმირთა სადიდებელი. იტყოდა და მერე როგორ! ახლებურად, ისე ძლიერად, როგორც მისივე „კარგია“ და „მთელი ხმით“, „ლენინი“ და „ტეოდორ ნეტე“, „მზე“ და „მარცხენა მარში“ და სხვა მრავალი პოეტური შედევრი.

აქვეა „როსტას“ (რუსეთის დეპეშათა სააგენტოს) კუთხე, მაიაკოვსკის დახატულ პლაკატებს ამშვენებს პოეტის მახვილი წარწერები. აი თუნდაც ერთი ასეთი კრიტიკის აუცილებლობაზე, მის უდიდეს მნიშვნელობაზე:

კრიტიკა
გვჭირდება ჩვენ წლიდან წლამდი
და ეს გახსოვდეს უნდა,
ვით ადამიანს — ქანგბადი,
ვით ბინას —
პაერი სუფთა.

ხალხის სამსახურს, მომავლის გამარჯვების რწმენას, სამშობლოსა და პარტიის სიყვარულს ესადაგება ბაღდათელი ბიჭის მთელი ცხოვრება და შემოქმედებითი ბრძოლა. აკი თვითონვე ამბობდა:

ვადდგებ სამშობლოს,
რომელიც არის,
გასამკეცებით —
რომელიც იქნება.

გვეხმის პოეტის ვაჟკაცური სიტყვები: მთელი დედამიწა თითქმის მომიეცია,
ცხოვრება კარგია, სიცოცხლე ტკბილია!

საქართველოდან გაჰყვა მაიაკოვსკის მშრომელი ხალხის სიყვარული, მყვლეფელთა მიმართ სიძულვილი. იგი ბაღდათის ცის ქვეშ თამაშობდა, ქართველ ბიჭუნებთან სწავლობდა ქართულ ენას და თვითონაც მღეროდა „სულიკოს“.

ბაღდათში, მაშინ მხოლოდ ერთი რუსული ოჯახი იყო — პოეტის მშობლებისა. ბავშვს უყვარდა ხანისწყალი. ვინ იცის, რამდენჯერ მისული ფეხშიშველი მის ნაპირთან და ანკესები დაუგია კალმახის დასაჭერად. მოხუც გლეხებთანაც ხშირად ჰჯდარა და უსმენია რჩევა-დარიგება.

სოფლად იგი ყველას უყვარდა როგორც გულისხმიერი, ნიჭიერი ბავშვი. აი როგორ იგონებს მას ახლანდელი სახლ-მუზეუმის ყოფილი პატრონის ძმა, პროფესიითი იურისტი, ამჟამად პენსიონერი ლევან კუჭუხიძე:

— ვბანაობდით ხანისწყალში. ზოგჯერ თევზებსაც ვიჭერდით და ვუშვებდით აუზში, რომელიც ჩემს ძმას წყაროსთან ჰქონდა მოწყობილი. აუზზე პატარა სათამაშო წისქვილიც გავაკეთეთ. იქვე დავრგით თუთის ხე, გვიყვარდა ჩვენი ნაამაგარი.

კარგად მახსოვს — მეტყველისთან მოვიდა ერთი შავჩოხიანი თავადი, ცხენიდან ჩამოხტა, ხელი სატევარზე დაიდო და ხმამაღლა დაუყვირა შეშის ბარათის საყიდლად მოსულ გლეხებს:

— ეი, შენ, ყაზახო, მიაბი ცხენი მანდ და ყური უგდე!

გლეხმა თავადის ბრძანება შეასრულა და ჩერეზში ჩამოჯდა ბარათის აღების მოლოდინში. იქვსი წლის ვალოდიას გული მოუვიდა თავადზე და ჩუმად მითხრა:— ლეო, მივიპაროთ ღობესთან, ცხენი ავუშვათ და სეირს ვუყუროთ, რას იზამს თავადი.

გლეხები საუბარში გართულნი იყვნენ. ჩვენ დრო ვიხელთეთ და ცხენი ავუშვით. ცხოველმა თავისუფლად იგრძნო თავი, გზას გაუყვა, ტყეში შევიდა. ტყე ხომ ზედ სახლთან იყო.

რახან სიტყვა ტყეზე ჩამოვარდა, ამასაც ვიტყვი, საკმაოობით ტყესთან მისვლაც გვეშინოდა. გვესმოდა ტურების ჩხავილი, მგლების ღმუილი, სამგეროდ დღისით სულ იქ ვთამაშობდით. სოკოს ვაგროვებდით ნაწვიმარზე, მაყვალიც ბლომად გვიკრეფია.

მაგრამ იმ დღეს ჩვენი ყურადღება იმ შავჩოხიანზე იყო მიპყრობილი. წავედით, ხეებს ამოვეფარეთ და იქედან ვუმზერდით თავადის განრისხებას.

— ვინ აუშვა ცხენი, ვინ აუშვა? — ყვიროდა იგი და ბრძანებას იძლეოდა — სასწრაფოდ მოენახათ და მოეყვანათ ბედაური.

ასეც მოხდა. თავადს ცხენი მიჰგვარეს. ჩოხოსანი წავიდა. ჩვენ გვაკვირვებდა მისი მუქარა. ღელავდა პატარა ვალოდია. გრძნობიერი ბავშვის დამშვიდება მხოლოდ გულკეთილმა დედამ შეძლო.

ისიც მახსოვს, როგორ ცრემლმორეული ჰკითხა ვალოდიამ დედას: რატომ აცვია თავადს ასე კარგად და გლეხს ცუდადო.

—თავადი მდიდარია, შვილო, გლეხი კი ღარიბი. ამიტომ უნდა გიყვარდეს ღარიბი, დაჩაგრული ადამიანი, — არიგებდა დედა, რომელიც მუდამ ტკბილეულით, გემრიელი ნამცხვრით გვიმასპინძლდებოდა.

ჩავიწერე პოეტის ჭაღარა მეგობრის ნაამბობი. თვალი მოვავლე მათი ბავშვობის მოწამე ხეებს, აივნის წინ რომ არხეგდნენ ნაყოფმსხმო�d რტოებს. წინ დგანან ძველისძველი უზარმაზარი კუნელი, შაქარაშვილა, მსხალი, იუბილარზე მეტი ხნის დაფნა და რევოლუციის შემდეგ დარგული ფიჭვები.

ზარმოდგენამ სამოცდა ხუთი წლის მიღმა მომახედა. როგორ უყვარდა ვალოდიას ხის კენწეროზე აცოცება და ლოყაწითელი ვაშლის ან დაშაქრებული მსხლის მოწყვეტა. კუნელი ხომ პირდაპირ ადგა აივანს და იქიდან უწვდიდ რტოებს, ჩემი ნაყოფიც გასინჯეო.

მოგონებად იქცა პოეტის ბაღდათში ცხოვრების წლები. ცნობისმოყვარე ბავშვს ყველაფერი იზიდავდა, ბევრჯერ შეხვეწნია მამას, ცხენით წამიყვანე ტყეშიო. ირგვლივ ხომ შესანიშნავი ტყეები იყო. მამაც არ უტიხდა ხათრს პატარა მემკვიდრეს. რა იცოდა, თუ თან დაჰყავდა ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტი, ვის გულშიც იწერებოდა ამ მშვენიერი მთებისა და ბაღდათის ზეცის უკრობი სიყვარული.

კვლავ მედიდურად დგანან ეს ამწვანებული მთები. კვლავ სიმაღლეუცვლელია ლიანთხა, ნანუთი, მეღრუკი, წიაღი, საფუტკრია, კონკოული, გველისთავი და მათი ლამაზი შემოგარენი. ოდესღაც თურმე მზის სხივიც ვერ შეატანდა წაბლის, ნეკერჩხლის, მუხის, ნაძვის, ფიჭვის, სოჭის, თელის და უნიკალური მცენარის— წითელი ხის ტევრში. აქ ხომ ჯოგებად დადიოდნენ ირმები, შვლები, ნიამორები, გარეული ღორები, ქურციკები. ზღაპრულად მდიდარი იყო აქაური ფლორა და ფაუნა.

უცვლელი დარჩა ხანისწყალი. იგი კვლავ მოედინება მეფის წყაროდან. რა იცის წყალმა, თუ იცვალენ დრონი, ნაპირებზე და მთა-გორაკებზე ახლა შესანიშნავი ვენახებია გაშენებული.

ოცდაცამეტ კოლმეურნეობას აერთიანებს მაიაკოვსკის სამმართველო. 5.500 ჰექტარს აღემატება კოლმეურნეთა ზვრების ფართობი. მნახველს ხიბლავენ რევოლუციის შემდეგ აგებული შესანიშნავი სახლები. ტალავრებით, ხეხილით, ყვავილებით შემკულია ეზოები. სოფლად დღეს ახალი ცხოვრება, რომელსაც მთელი მგზნებარე ბით უმღეროდა მაიაკოვსკი.

მათთან ვარ მუდამ ჩაქეზრით, ბარით.

ბევრი დაწერილა, ბევრი ეფიქრა ამ ეროვნ ... (ალ. ... ...